ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - ამბარცუმ ბაბოიან

მე, როგორც ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **მაჟორიტარი დეპუტატი** წარმოგიდგენთ საანგარიშო პერიოდში (30.10.2025 დან 01.10.2025 წ.წ.) ჩემს მიერ გაწეული საქიანობის ანგარიშს

თანამდებობა - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიულილ საქართველო“ - ს წევრი

კომისიები და სამუშაო ჯგუფები:

1. საკრებულოს სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისის წევრი
2. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრი
3. საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების კომისიის წევრი
4. სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით შერჩეული სამუშაო ჯგუფის წევრი
5. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარეების მიზნობრივად გაცემის მიზნით სსამუშაო ჯგუფის წევრი

საანგარიშო პერიოდში აქტიურად ვესწრებოდი საკრებულოს და კომისიის სხდომებს, საანგარიშო პერიოდში სულ ჩატარდა 17 საკრებულოს სხდომა, დავეესწარი 14 - ს. (2 საპატიო-შვებულება).

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები

- ✓ ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 დეკემბრის №23 დადგენილება (და ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვის შესახებ)
- ✓ ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ” ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N50-ე განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
- ✓ ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N51 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
- ✓ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ახალციხის მუნიციპალიტეტში 2026 წელს დასაფინანსებელი პროექტების მიზნით მომზადებული წინადადებების მოწონება.

- ✓ ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ
- ✓ ახალციხის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დამტკიცება.
- ✓ „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
- ✓ ახალციხის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ
- ✓ ახალციხის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარმატებული სპორტსმენების, მათი მწვრთნელებისა და სპორტის სხვადასხვა სახეობაში გამარჯვებული გუნდების, მუსიკისა და ხელოვნების დარგში წარმატებული მოსწავლეების, მათი პედაგოგებისა და მუსიკალური გუნდების 2026 წლის ფინანსური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე

მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა - 78 და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა -255.

მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები შეეხებოდა:

- სოციალურ,
- ჯანდაცვის,
- ინფარსტრუქტურულ,
- საყოფაცხოვრებო,
- ბინების გაფორმებისას სხვადასხვა სტრუქტურებთან ურთიერთობის,
- ობიექტების სახელდებას,
- მოქალაქის დახასიათების გაცემის,
- შუამდგომლობებს,
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელ პროექტებს
- მოსახლეობასთან ადგილობრივი საჭიროებების გამოვლენასა და მუნიციპალურ პროგრამებში ასახვის და ა.შ. საკითხებს

მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები

წლის განმავლობაში აქტიურად ვთანამშრომლობდი ადგილობრივ მოსახლეობასთან. მოქალაქეებთან შეხვედრები მქონდა და მაქვს ყოველდღიურად, ასევე მაქვს გასვლითი შეხვედრები. ვეცნობოდი მათ საჭიროებებს, ვიღებდი ინფორმაციას. ხდებოდა მათი მოსაზრებების მოსმენა, მოქალაქეთა საჭიროებების გამოვლენა, მოსახლეობის ინტერესების დაცვა. ჩემს მაჟორიტარულ ოლქში, მათი მომართვიანობის სპეციფიურობის შესაბამისად, ხდება დახმარება, ან შუამდგომლობის გაწევა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან და ადგილობრივი პრობლემების შესაბამისი უწყების წინაშე დასმა.

საანგარიშო პერიოდში აქტიურად ვესწრებოდი შეხვედრებს და სხვადასხვა ღონისძიებებს, როგორიცაა:

- ქ. ახალციხეში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საკალათბურთო დარბაზის გახსნა
- წყალთბილის ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობასთან შეხვედრები
- ქ. ახალციხეში, თაყაიშვილის ქუჩაზე, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ახალი სპორტული მინი მოედნის გახსნა
- მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების დათავლიერება
- ახალციის ციხეზე გამართული სომხური ღონისძიებები (ქორეოგრაფიული ღონისძიება)
- ქალაქის მთავარი დღესასწაული„ახალციხელობა“
- ცენტრალურ პარკში ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება
- 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიება
- ქ. ახალციხეში, იაძის ქუჩაზე თანამედროვე სტანდარტებზე გათვლილი №4 საბავშვო ბაგა-ბაღის გახსნა
- ქ. ახალციხეში მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნის პატივის მიგების და ობელისკი ყვავილებით შემკობის ცერემონია
- რესურსცენტრის მიერ ორგანიზებული „ენის სიცოცხლე ერის სიცოცხლეა“, ქართული ენის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიება
- 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება.
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრები: სოფელ თისელის, ტყემლანისა და აწყურის, დიდი და პატარა პამაჯი, ორალსა და ყულალისში, წყალთბილის ადმინისტრაციულ ერთეულში, ვალეს, ხაკსა და საძელიში, ივლიტის, ზემო სხვილისისა და სხვილისის სოფლებში, წირას, მექელწმინდასა და წყრუთში და აწყურის ადმინისტრაციულ ერთეულში

წარდგენის თარიღი 30.10.2026

ხელმოწერის თარიღი 19.10.2026

ხელმოწერა